



**Council of the
European Union**

**ევროკავშირის საბჭოს რეკომენდაცია
22 მაისი 2018 წელი**

**მთელი სიცოცხლის მაძილზე სწავლის საკვანძო
კომპეტენციების შესახებ**

(2018/C 189/01)

მთარგმნელი: ლალი ბაქრაძე
რედაქტორი: მარინე ბრეგვაძე



**Co-funded by the
Erasmus+ Programme
of the European Union**

წინამდებარე პროექტი დაფინანსებულია ევროკომისიის მიერ. პუბლიკაცია ასახავს მხოლოდ ავტორთა აზრს და კომისია არ არის პასუხისმგებელი მის შინაარსზე.

ევროკავშირის საბჭოს რეკომენდაცია
22 მაისი 2018 წელი

მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის საკვანძო კომპეტენციების შესახებ

(2018/C 189/01)

ევროკავშირის საბჭო

ითვალისწინებს რა ხელშეკრულებას ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ, კერძოდ 165-ე და 166-ე მუხლებს, მხედველობაში იღებს ევროკომისიის წინადადებას

რადგანაც:

- (1) “სოციალური უფლებების ევროპული საყრდენი”¹ თავის პირველ პრინციპად აცხადებს, რომ ნებისმიერ ადამიანს აქვს ხარისხიანი და ინკლუზიური განათლების, მომზადებისა და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის უფლება, რათა შეინარჩუნოს და შეიძინოს უნარები, რომლებიც საზოგადოებაში სრულფასოვანი მონაწილეობისა და შრომის ბაზარზე წარმატებული ტრანზიციების საშუალებას იძლევა. ამ დოკუმენტში ასევე აღნიშნულია, რომ ყველას აქვს უფლება, “მიიღოს დროული და მოთხოვნაზე დაფუძნებული დახმარება დასაქმების ან თვითდასაქმების პერსპექტივების გაუმჯობესების, მომზადებისა და გადამზადებისთვის, უწყვეტი განათლებისა და სამუშაოს მოძებნის ხელშეწყობისთვის.” კომპეტენციების განვითარების მხარდაჭერა არის ერთ-ერთი მიზანი ისეთი “ევროპული განათლების სივრცის” ხედვისა, რომელიც შეძლებს გამოიყენოს განათლებისა და კულტურის სრული პოტენციალი, როგორც დასაქმების, სოციალური სამართლიანობის, აქტიური მოქალაქეობის მამოძრავებელი ძალა, ასევე მრავალფეროვან ევროპულ იდენტობასთან დაკავშირებული გამოცდილების მიღების საშუალება.”²
- (2) ადამიანებს სჭირდებათ შესაბამისი უნარები და კომპეტენციები, რათა შეინარჩუნონ ცხოვრების თანამედროვე სტანდარტი, ხელი შეუწყონ დასაქმების უფრო მაღალ მაჩვენებელს და მხარი დაუჭირონ სოციალურ ინტეგრაციას ხვალისდელი საზოგადოებისა და სამუშაოს გათვალისწინებით. პიროვნული მოთხოვნების დაკმაყოფილების, ჯანმრთელობის, დასაქმებისა და სოციალური ჩართულობისთვის საჭირო უნარებისა და კომპეტენციების შესაძენად ევროპის მაცხოვრებლების მხარდაჭერა ხელს უწყობს ევროპის მდგრადობის გაძლიერებას სწრაფი და ღრმა ცვლილებების პერიოდში.
- (3) 2006 წელს ევროპის პარლამენტმა და ევროკავშირის საბჭომ მიიღეს რეკომენდაცია მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის საკვანძო კომპეტენციების შესახებ. ამ რეკომენდაციამ წევრ ქვეყნებს მოუწოდა, რომ “მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის სტრატეგიის (მათ შორის საყოველთაო წიგნიერების მიღწევის სტრატეგიის) ფარგლებში განავითარონ პირობები ყველასთვის საკვანძო

¹ COM(2017)250

² COM(2017)673

კომპეტენციების შესაძენად და გამოიყენონ “მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის საკვანძო კომპეტენციების ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩო”³. მიღების შემდეგ, რეკომენდაცია გახდა კომპეტენციაზე ორიენტირებული განათლების, მომზადებისა და სწავლის განვითარებისთვის საჭირო ძირითადი დოკუმენტი.

- (4) დღეისათვის შეცვლილია მოთხოვნები კომპეტენციების მიმართ, ვინაიდან სულ უფრო მეტი სამუშაო ადგილი ექვემდებარება ავტომატიზირებას, საქმიანობისა და ცხოვრების ყველა სფეროში სულ უფრო დიდ როლს თამაშობს ტექნოლოგიები; მდგრადობის უზრუნველყოფისა და ცვლილებებისადმი ადაპტაციისათვის სამეწარმეო, სოციალური და მოქალაქეობის კომპეტენციები უფრო და უფრო რელევანტური ხდება.
- (5) ამავდროულად, არასაკმარისი საბაზო უნარების მქონე მოზარდებისა და ზრდასრულების მუდმივად მაღალ წილზე მიუთითებს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD), სტუდენტების შეფასების საერთაშორისო პროგრამისა (PISA) და OECD-ს ზრდასრულთა კომპეტენციების შეფასების საერთაშორისო პროგრამის (PIAAC) მიერ ჩატარებული საერთაშორისო კვლევები. 2015 წელს ხუთიდან ერთ მოსწავლეს სერიოზული სირთულეები ჰქონდა კითხვის, მათემატიკის ან საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ადეკვატური უნარების განვითარებაში.⁴ ზოგიერთ ქვეყანაში ზრდასრულთა ერთ მესამედს აქვს წიგნიერებისა და რაოდენობრივი წიგნიერების ძალიან დაბალი დონე.⁵ ევროკავშირის მოსახლეობის 44%-ს აქვს დაბალი, ან საერთოდ არა აქვს (19%)⁶ ციფრული უნარები.
- (6) შესაბამისად, ინვესტირება საბაზო უნარებში არასდროს ყოფილა ასეთი მნიშვნელოვანი. მაღალი ხარისხის განათლება, მათ შორის დამატებითი სასწავლო აქტივობები და კომპეტენციის განვითარებისადმი ყოვლისმომცველი მიდგომა, აუმჯობესებს საბაზო უნარებს. გარდა ამისა, სწავლის ახალი გზები უნდა გამოიძებნოს იმ საზოგადოებისთვის, რომელიც სულ უფრო და უფრო მობილური და ციფრული ხდება⁷. ციფრული ტექნოლოგიები გავლენას ახდენს განათლებაზე, მომზადებასა და სწავლაზე მზარდად მობილური საზოგადოების საჭიროებებზე ადაპტირებული, მოქნილი სასწავლო გარემოს განვითარებით.⁸
- (7) ცოდნაზე დაფუძნებულ ეკონომიკაში ფაქტებისა და პროცედურების გახსენება მნიშვნელოვანია, მაგრამ არასაკმარისია პროგრესისა და წარმატებისათვის. ისეთი უნარები, როგორებიცაა: პრობლემის გადაჭრა, კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კრეატიულობა, ციფრული აზროვნება, თვითრეგულირება, მნიშვნელოვანია ჩვენს სწრაფცვალებად საზოგადოებაში ისე, როგორც არასდროს. ეს ის ინსტრუმენტებია, რომელთა მეშვეობითაც ხდება ნასწავლის გადატანა პრაქტიკაში ახალი იდეების, ახალი თეორიების, ახალი პროდუქტებისა და ახალი ცოდნის გენერირებისათვის.
- (8) ახალი უნარების ევროპული პროგრამით⁹ დაისვა საკითხი “მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის საკვანძო უნარების შესახებ” 2006 წლის რეკომენდაციების

³ OJ L394, 30.12.2006, p. 10.

⁴ OECD (2016), PISA 2015 results

⁵ European Commission (2016), Education and Training Monitor 2016

⁶ European Commission’s Digital Scoreboard 2017

⁷ Reflection Paper on Harnessing Globalisation, COM(2017) 240 final

⁸ Rethinking Education: Investing in skills for better socio-economic outcomes, COM(2012) 669 final

⁹ COM(2016) 381 final

გადახედვის შესახებ, რომელშიც აღინიშნა, რომ ევროპაში განათლების, მომზადებისა და არაფორმალური სწავლის ხელშეწყობის პირველი ნაბიჯი არის ინვესტირება უნარებსა და კომპეტენციებში, ასევე საკვანძო კომპეტენციების გაზიარებულ და განახლებულ გააზრებაში.

- (9) საზოგადოებისა და ეკონომიკის ცვლილებებზე რეაგირება, ასევე სამუშაოების მომავალზე დისკუსიებისა და საკვანძო კომპეტენციების შესახებ 2006 წლის რეკომენდაციის საჯარო კონსულტაციების გათვალისწინება მოითხოვს ორივე დოკუმენტის (როგორც რეკომენდაციის, ასევე მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის საკვანძო კომპეტენციების ევროპული ჩარჩოს), გადასინჯვასა და განახლებას.
- (10) საკვანძო კომპეტენციების განვითარებას, მათ ვალიდაციას, ისევე როგორც კომპეტენციაზე ორიენტირებულ განათლებას, მომზადებასა და სწავლას, ხელი უნდა შეეწყოს საუკეთესო გამოცდილებების დანერგვით, რაც დაეხმარება საგანმანათლებლო პერსონალს დასახული ამოცანების შესრულებასა და საკუთარი განათლების გაუმჯობესებაში, შეფასებისა და ვალიდაციის მეთოდებისა და ინსტრუმენტების განახლებაში და სწავლებისა და სწავლის ახალი და ინოვაციური ფორმების შემოღებაში.¹⁰ ამდენად, ამ რეკომენდაციამ, ბოლო ათწლეულის გამოცდილების საფუძველზე, პასუხი უნდა გასცეს კომპეტენციაზე ორიენტირებულ განათლებასთან, სწავლებასა და მომზადებასთან დაკავშირებულ გამოწვევებს.
- (11) სხვადასხვა კონტექსტში შეძენილი კომპეტენციების ვალიდაციის ხელშეწყობა ადამიანებს თავიანთი კომპეტენციების აღიარებისა და, შესაბამისად, სრული ან, სადაც შესაძლებელია, ნაწილობრივი კვალიფიკაციის მიღების საშუალებას მისცემს.¹¹ ეს შეიძლება დაეფუძნოს არაფორმალური განათლებისა და თვითგანათლების ვალიდაციის არსებულ წესებს და ასევე კვალიფიკაციების ევროპულ ჩარჩოს,¹² რომელიც არის საერთო სახელმძღვანელო ჩარჩო კვალიფიკაციების დონეების შესადარებლად და მიუთითებს ამ დონეების მისაღწევად საჭირო კომპეტენციებზე. გარდა ამისა, შეფასება შეიძლება დაეხმაროს სასწავლო პროცესების სტრუქტურირებასა და კონსულტირებას, ასევე ხელი შეუწყოს ადამიანებს, გაიუმჯობესონ კომპეტენციები შრომის ბაზრის ცვალებადი მოთხოვნების გათვალისწინებით.¹³
- (12) პირადი მოთხოვნების დაკმაყოფილების, ჯანმრთელობის, დასაქმებადობისა და სოციალური ჩართულობისთვის საჭირო საკვანძო კომპეტენციების ნაკრების განსაზღვრა განაპირობა არა მარტო საზოგადოებრივმა და ეკონომიკურმა განვითარებამ, არამედ ბოლო ათწლეულის მრავალფეროვანმა ევროპულმა ინიციატივებმაც. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა საბაზო უნარების გაუმჯობესებაზე, ენის შესწავლის ინვესტირებაზე, ციფრული და სამეწარმეო კომპეტენციების გაუმჯობესებაზე, ჩვენი საზოგადოების ფუნქციონირებისათვის საჭირო საერთო ღირებულებების რელევანტურობასა და საბუნებისმეტყველო

¹⁰ Joint Report of the Council and the Commission on the implementation of the strategic framework for European cooperation in education and training (ET 2020), OJ C 417, 15.12.2015, p.25

¹¹ OJ C 398, 22.12.2012, p.1

¹² OJ C 189, 15.6.2017, p.15

¹³ Council Resolution of 21 November 2008 on better integrating lifelong guidance into lifelong learning strategies, OJ C 319, 13.12.2008, p.4.

მეცნიერებებთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩართვისათვის უფრო მეტი ახალგაზრდის მოტივაციაზე. მოვლენების ეს განვითარება უნდა აისახოს ამ სარეკომენდაციო ჩარჩოში.

- (13) “მდგრადი განვითარების მიზნების” მიზანი 4.7 აღნიშნავს: “უზრუნველყოფილ იქნას ყველა მოსწავლის მიერ მდგრადი განვითარების ხელშეწყობისთვის საჭირო ცოდნისა და უნარების შეძენა, მათ შორის განათლების მიცემის მეშვეობით ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: მდგრადი განვითარება და მდგრადი ცხოვრების წესი, ადამიანის უფლებები, გენდერული თანასწორობა, მშვიდობისა და არაძალადობის კულტურის ხელშეწყობა, გლობალური მოქალაქეობა და კულტურული მრავალფეროვნებისა და მდგრადი განვითარებისათვის კულტურის წვლილის დაფასება.”¹⁴ იუნესკოს გლობალური სამოქმედო პროგრამა განათლების მდგრადი განვითარების შესახებ ადასტურებს, რომ განათლება მდგრადი განვითარებისათვის არის ხარისხიანი განათლების განუყოფელი ელემენტი და მდგრადი განვითარების ყველა სხვა მიზნის მიღწევის მთავარი ფაქტორი. ეს მიზანი ასახულია განახლებულ სარეკომენდაციო ჩარჩოში.
- (14) ენის შესწავლის უზრუნველყოფა, რომელიც სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება თანამედროვე საზოგადოებისათვის, ინტერკულტურული გაგებისა და კოოპერაციისათვის, ეფუძნება ენების საერთო ევროპულ ჩარჩოს (CEFR). ეს (ენების) ჩარჩო ეხმარება კომპეტენციის ძირითადი ელემენტების განსაზღვრას და ხელს უწყობს სასწავლო პროცესს. ის ასევე ქმნის ენობრივი (კერძოდ კი, უცხოური ენებისათვის) კომპეტენციების განსაზღვრის საფუძველს და აისახება განახლებულ ჩარჩოში.
- (15) ციფრული და სამეწარმეო კომპეტენციების ჩარჩოების შემუშავება ხელს უწყობს შესაბამისი კომპეტენციის განვითარებას. ანალოგიურად, ევროსაბჭოს ჩარჩო დოკუმენტი - “კომპეტენციები დემოკრატიული კულტურისათვის,” გვაძლევს დემოკრატიულ საზოგადოებაში სათანადო მონაწილეობისთვის საჭირო ღირებულებების, უნარებისა და დამოკიდებულებების ამომწურავ ნაკრებს. ჩარჩოს განახლებისას ეს ყველაფერი სათანადოდ იქნა გათვალისწინებული.
- (16) საბუნებისმეტყველო მეცნიერებებთან, ტექნოლოგიებთან, ინჟინერიასა და მათემატიკასთან (STEM) დაკავშირებულ საქმიანობაში ჩართვისათვის უფრო მეტი ახალგაზრდის მოტივაციის მიზნით, ევროპაში არსებულმა ინიციატივებმა, გამოკვლევაზე დაფუძნებული პედაგოგიკის გამოყენებითა და სხვადასხვა სოციალური აქტორისა და ინდუსტრიის ჩართულობით, დაიწყო (საბუნებისმეტყველო) მეცნიერებების სულ უფრო მჭიდროდ დაკავშირება ჰუმანიტარულ და სხვა საგნებთან. მიუხედავად იმისა, რომ ამ კომპეტენციების დეფინიციები მნიშვნელოვნად არ შეცვლილა წლების განმავლობაში, STEM-ში კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობა სულ უფრო და უფრო რელევანტური ხდება და ეს უნდა აისახოს ამ რეკომენდაციებში.
- (17) კულტურის, ახალგაზრდობასთან მუშაობის, მოხალისეობის (ისევე როგორც მასობრივი სპორტის) მეშვეობით მიღებული გამოცდილებებიდან აშკარა ხდება არაფორმალური განათლებისა და თვითგანათლების მნიშვნელობა და რელევანტურობა. არაფორმალური განათლება და თვითგანათლება მნიშვნელოვან

¹⁴ United Nations Resolution adopted by the General Assembly on 25 September 2015, Transforming our world: the 2030 Agenda for Sustainable Development

როლს ასრულებს ისეთი არსებითი ინტერპერსონალური, საკომუნიკაციო და კოგნიტიური უნარების განვითარების ხელშეწყობაში, როგორებიცაა: კრიტიკული აზროვნება, ანალიტიკური უნარები, კრეატიულობა, პრობლემის გადაჭრა და მდგრადობა, რაც ხელს უწყობს ახალგაზრდა ადამიანების ზრდასრულობაში გადასვლას, აქტიურ მოქალაქეობასა და საქმიანობას.¹⁵ სხვადასხვა სასწავლო გარემოს შორის კარგი თანამშრომლობის ჩამოყალიბება განსხვავებული სასწავლო მიდგომებისა და კონტექსტების განვითარებას უწყობს ხელს.¹⁶

(18) მთელი სიცოცხლის მანძილზე, სწავლის პერსპექტივიდან გამომდინარე, საჭიროა საკვანძო კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობის უზრუნველყოფა განათლების, მომზადებისა და სასწავლო გზების ყველა დონეზე: ადრეული ასაკის ბავშვების ხარისხიანი განათლებისა და მოვლის განვითარება,¹⁷ სასკოლო განათლების შემდგომი გაძლიერება და საუკეთესო სწავლების უზრუნველყოფა,¹⁸ დაბალი უნარების მქონე ზრდასრულებისათვის უნარების გაუმჯობესების გზების უზრუნველყოფა,¹⁹ ისევე როგორც საწყისი და განგრძობადი პროფესიული განათლებისა და მომზადების შემდგომი განვითარება და უმაღლესი განათლების მოდერნიზება.²⁰

(19) ამ რეკომენდაციამ, მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის პერსპექტივიდან გამომდინარე, უნდა მოიცვას საგანმანათლებლო, მომზადებისა და სასწავლო გარემოცვების ფართო დიაპაზონი, როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური განათლება და თვითგანათლება. რეკომენდაციამ უნდა შეძლოს კომპეტენციების ერთიანი გაგების ჩამოყალიბება, რაც ხელს შეუწყობს ტრანზიციასა და თანამშრომლობას ამ განსხვავებულ სასწავლო გარემოცვებს შორის. ის იძლევა საუკეთესო გამოცდილებებს, რომლებსაც შეუძლია უპასუხოს საგანმანათლებლო პერსონალის საჭიროებებს. ეს პერსონალი მოიცავს: მასწავლებლებს, ტრენერებს, პედაგოგებს, მასწავლებლის განათლების სპეციალისტებს, საგანმანათლებლო და მომზადების დაწესებულებების ხელმძღვანელებს, იმ თანამშრომლებს, რომლებიც პასუხისმგებლები არიან კოლეგების ტრენინგზე, მეცნიერ-მკვლევარებსა და უნივერსიტეტის ლექტორებს, ახალგაზრდებთან მუშაობის სპეციალისტებსა და ზრდასრულთა პედაგოგებს/ანდრაგოგებს, ასევე დამსაქმებლებსა და შრომის ბაზრის დაინტერესებულ მხარეებს. ეს რეკომენდაცია ასევე მიემართება იმ ინსტიტუციებსა და ორგანიზაციებს (მათ შორის სოციალურ პარტნიორებსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს), რომლებიც ხელს უწყობს კომპეტენციების განვითარებას ადრეული ასაკიდან მთელი სიცოცხლის განმავლობაში.

(20) ეს რეკომენდაცია სრულად შეესაბამება სუბსიდიარობისა და პროპორციულობის პრინციპებს.

¹⁵ Council conclusions on the role of youth work in supporting young people's development of essential life skills that facilitate their successful transition to adulthood, active citizenship and working life, OJ C189, 15.6.2017, p.30

¹⁶ Council conclusions on enhancing cross-sectorial policy cooperation to effectively address socio-economic challenges facing young people, OJ C172, 27.5.2015, p.3

¹⁷ Council conclusions on the role of early childhood education and primary education in fostering creativity, innovation and digital competence, OJ C172, 27.5.2015, p.17.

¹⁸ Council conclusions on school development and excellent teaching, OJ C421, 8.12.2017, p.2

¹⁹ Council Recommendation of 19 December 2016 on Upskilling Pathways: New Opportunities for Adults OJ C484, 24.12.2016, p.1

²⁰ Council conclusions on a renewed EU agenda for higher education, OJ C429, 14.12.2017, p.3

ამ რეკომენდაციის მიღებით

წევრმა ქვეყნებმა უნდა:

1. მხარი დაუჭირონ ხარისხიანი და ინკლუზიური განათლების, მომზადებისა და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის უფლებას და სრულად გამოიყენონ წინამდებარე დოკუმენტის დანართში მოცემული “ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩო მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისათვის”, რათა უზრუნველყონ საკვანძო კომპეტენციების განვითარების შესაძლებლობა ყველასათვის და
 - 1.1. გაძლიერონ და ხელი შეუწყონ საკვანძო კომპეტენციების განვითარებას, დაწყებული ადრეული ასაკიდან და გაგრძელებული მთელი სიცოცხლის განმავლობაში, როგორც მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის სტრატეგიის ნაწილს.
 - 1.2. ხელი შეუწყონ ყველა მოსწავლეს, მათ შორის სოციალურად დაუცველ და სპეციალური საჭიროებების მქონე პირებს, სრულად გამოიყენონ თავიანთი პოტენციალი.
2. ხელი შეუწყონ საკვანძო კომპეტენციების განვითარებას, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ შემდეგს:
 - 2.1. აამაღლონ საბაზო უნარების (წიგნიერება, რაოდენობრივი წიგნიერება და საბაზო ციფრული უნარები) მიღწევის დონე და ხელი შეუწყონ სწავლის (learning to learn) კომპეტენციის განვითარებას, რათა მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის პერსპექტივაში უწყვეტად უმჯობესდებოდეს სწავლისა და საზოგადოებაში მონაწილეობის საფუძველი;
 - 2.2. აამაღლონ პერსონალური, სოციალური და სწავლის (learning to learn) კომპეტენციების დონე ჯანმრთელი, მომავალზე ორიენტირებული ცხოვრების წესის გაუმჯობესებისათვის;
 - 2.3. ხელი შეუწყონ საბუნებისმეტყველო მეცნიერების, ტექნოლოგიების, საინჟინრო და მათემატიკური (STEM) კომპეტენციების შექმნას ჰუმანიტარიასთან, კრეატიულობასა და ინოვაციებთან მათი კავშირის გათვალისწინებით, ისევე როგორც STEM-თან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩართვისათვის უფრო მეტი ახალგაზრდის, განსაკუთრებით კი გოგონებისა და ახალგაზრდა ქალების, მოტივირების გათვალისწინებით;
 - 2.4. აამაღლონ ციფრული კომპეტენციების დონე განათლებისა და მომზადების ყველა ეტაპზე, მოსახლეობის ყველა სეგმენტში;
 - 2.5. ხელი შეუწყონ, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებში, სამეწარმეო კომპეტენციას, კრეატიულობასა და ინიციატივიანობას. მაგალითად, ხელი შეუწყონ ახალგაზრდებს სასკოლო განათლების პერიოდში მიიღონ, სულ მცირე, ერთი პრაქტიკული სამეწარმეო გამოცდილება;
 - 2.6. აამაღლონ ენის კომპეტენციების დონე როგორც ოფიციალურ, ასევე სხვა ენებში და მხარი დაუჭირონ მოსწავლეების მიერ (მათი საქმიანობისა და ცხოვრებისათვის შესაფერისი) სხვადასხვა ენის შესწავლას, რასაც შეუძლია თავისი წვლილი შეიტანოს საზღვრებს შორის კომუნიკაციასა და მობილობაში.

- 2.7. ხელი შეუწყონ მოქალაქეობის კომპეტენციების განვითარებას იმ საერთო ღირებულებების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, რომლებიც აღნიშნულია ევროკავშირის ხელშეკრულების მე-2 მუხლსა და ევროკავშირის ფუნდამენტური უფლებების ქარტიაში;
- 2.8. აამაღლონ ყველა მოსწავლისა და საგანმანათლებლო პერსონალის ცნობიერება საკვანძო კომპეტენციების შეძენის მნიშვნელობისა და საზოგადოებასთან მათი კავშირის შესახებ.
3. ხელი შეუწყონ საკვანძო კომპეტენციების შეძენას და ამისთვის გამოიყენონ დანართში მოცემული საკვანძო კომპეტენციების განვითარების ხელშემწყობი საუკეთესო გამოცდილებები, კერძოდ,
 - 3.1. ხელი შეუწყონ მრავალფეროვან სასწავლო მიდგომებსა და გარემოს, მათ შორის ციფრული ტექნოლოგიების ადეკვატურ გამოყენებას განათლების, მომზადებისა და სწავლის გარემოში;
 - 3.2. უზრუნველყონ საგანმანათლებლო პერსონალის, ისევე როგორც სასწავლო პროცესის სხვა დაინტერესებული მხარეების (მათ შორის ოჯახების), მხარდაჭერა, რათა განათლების, მომზადებისა და სწავლის გარემოში, მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის მიდგომის ფარგლებში, აამაღლონ მოსწავლეების საკვანძო კომპეტენციები;
 - 3.3. კიდევ უფრო განავითარონ და ხელი შეუწყონ განსხვავებულ პირობებში შეძენილი საკვანძო კომპეტენციების შეფასებასა და ვალიდაციას წევრი ქვეყნების წესებისა და პროცედურების შესაბამისად;
 - 3.4. გააძლიერონ თანამშრომლობა საგანმანათლებლო, მომზადებისა და სასწავლო დაწესებულებებს შორის ყველა დონესა და სფეროში, რათა გააუმჯობესონ მოსწავლეების კომპეტენციების განვითარების უწყვეტობა და ინოვაციური სასწავლო მიდგომების შემუშავება;
 - 3.5. გააძლიერონ ინსტრუმენტები, რესურსები და კონსულტირება საგანმანათლებლო, მომზადების, დასაქმებისა და სხვა სასწავლო გარემოს ფარგლებში, რათა ხელი შეუწყონ ადამიანებს, მართონ მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის საკუთარი გზები.
4. განახორციელონ გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDG), განსაკუთრებით კი SDG 4.7-ის, ინტეგრირება განათლებაში, მომზადებასა და სწავლაში, ასევე ხელი შეუწყონ ცოდნის შეძენას კლიმატის მრავალფეროვანი ცვლილების შეზღუდვისა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების შესახებ.
5. წარმოადგინონ ანგარიშები (განათლებასა და მომზადებაში ევროპული თანამშრომლობის სტრატეგიული ჩარჩოს (ET 2020) არსებული სტრუქტურებისა და ინსტრუმენტების, ასევე მათი ჩამანაცვლებელი ნებისმიერი ჩარჩოს მეშვეობით) საკვანძო კომპეტენციების ხელშეწყობასთან დაკავშირებით მიღწეულ პროგრესსა და გამოცდილებაზე განათლებისა და მომზადების ნებისმიერ სექტორში, მათ შორის არაფორმალურ განათლებასა და, რამდენადაც ეს შესაძლებელია, თვითგანათლებაში.

აქედან გამომდინარე, მიესალმება, რომ კომისია წევრი ქვეყნების კომპეტენციების გათვალისწინებით:

6. ხელს შეუწყობს რეკომენდაციების განხორციელებასა და ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს გამოყენებას წევრ ქვეყნებს შორის ურთიერთსწავლების მხარდაჭერითა და წევრ ქვეყნებთან თანამშრომლობით ისეთი სარეკომენდაციო მასალებისა და ინსტრუმენტების განვითარების მეშვეობით, როგორებიცაა:
 - 6.1. კონკრეტული კომპეტენციის ჩარჩო (სადაც საჭიროა), რაც ხელს შეუწყობს კომპეტენციის განვითარებასა და შეფასებას;²¹
 - 6.2. მტკიცებულებაზე დაფუძნებული სახელმძღვანელო მასალები სწავლისა და დამხმარე მიდგომების ახალი ფორმების შესახებ;
 - 6.3. დამხმარე მასალები საგანმანათლებლო პერსონალისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის, როგორებიცაა: ონლაინ ტრენინგ-კურსები, თვითშეფასების ინსტრუმენტები,²² ქსელები, მათ შორის eTwinning-ი და ევროპაში ზრდასრულთა სწავლების ელექტრონული პლატფორმა (EPALE);
 - 6.4. შეფასების მიდგომები და წინა საქმიანობის შედეგად შეძენილი საკვანძო კომპეტენციების ვალიდაციის მხარდაჭერა ET2020 ჩარჩოსა ²³ და მისი ჩამანაცვლებელი ნებისმიერი ჩარჩოს კონტექსტში.
7. ხელს შეუწყობს მდგრად განვითარებასთან დაკავშირებულ საგანმანათლებლო ინიციატივების შემდგომ განვითარებასა და მხარდაჭერას გაეროს მდგრადი განვითარების მე-4 მიზნის გათვალისწინებით, რაც გულისხმობს ყველასათვის ინკლუზიური და თანაბრად ხარისხიანი განათლებისა და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის შესაძლებლობის მიცემას.
8. არსებული სტრუქტურებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით წარმოადგინოს ანგარიშები იმ გამოცდილებასა და საუკეთესო პრაქტიკაზე, რომელიც დაკავშირებულია მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის მიდგომის ფარგლებში, საგანმანათლებლო, მომზადებისა და სასწავლო გარემოში მოსწავლეთა საკვანძო კომპეტენციების განვითარებასთან.

ეს რეკომენდაცია ცვლის ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2006 წლის 18 დეკემბრის რეკომენდაციას “მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისათვის საკვანძო კომპეტენციების შესახებ”.

ბრიუსელი
 22 მაისი 2018
 საბჭოს პრეზიდენტი
 კ. ვალჩევი

²¹ ენების საერთო ევროპული ჩარჩოს, ციფრული კომპეტენციის ჩარჩოსა და სამეწარმეო კომპეტენციის ჩარჩოს შემუშავებისას მიღებულ გამოცდილებასა და ექსპერტიზაზე დაფუძნებით.

²² როგორცაა ციფრული კომპეტენციის ჩარჩო.

²³ Assessment of Key Competences in initial education and training: Policy Guidance, SWD (2012) 371

დანართი

საკვანძო კომპეტენციები მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისათვის ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩო

საფუძველი და მიზნები

ყველას აქვს ხარისხიანი და ინკლუზიური განათლების, მომზადებისა და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის უფლება, რათა შეიძინოს და შეინარჩუნოს ის უნარები, რომლებიც საშუალებას აძლევს პირს, იყოს საზოგადოების სრულყოფილი მონაწილე და წარმატებით გაუმკლავდეს ტრანზიციებს/ცვლილებებს შრომის ბაზარზე.

ყველას აქვს დროული და მოთხოვნაზე დაფუძნებული დახმარების მიღების უფლება, დასაქმების ან თვითდასაქმების პერსპექტივების გაუმჯობესების მიზნით. ეს მოიცავს სამუშაოს მოძებნაში, მომზადებასა და გადამზადებაში დახმარების მიღების უფლებას.

ეს პრინციპები განსაზღვრულია ევროპულ დოკუმენტში - “სოციალური უფლებების საყრდენი”.

სწრაფცვალებად და მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებულ მსოფლიოში თითოეულ ადამიანს სჭირდება უნარებისა და კომპეტენციების ფართო სპექტრი და მთელი სიცოცხლის მანძილზე მათი უწყვეტი განვითარება. წინამდებარე ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოთი განსაზღვრული საკვანძო კომპეტენციები პასუხობს ინკლუზიური და მდგრადი განვითარების, სოციალური ჩართულობისა და დემოკრატიული კულტურის შემდგომი განვითარების საჭიროებებს. მისი მიზანია, შექმნას საფუძველი უფრო თანასწორი და უფრო დემოკრატიული საზოგადოებების მისაღწევად.

ჩარჩოს ძირითადი მიზნებია:

ა. დაადგინოს და განსაზღვროს დასაქმების, პიროვნული დაკმაყოფილებისა და ჯანმრთელობის, აქტიური და პასუხისმგებლიანი მოქალაქეობისა და სოციალური ჩართულობისათვის აუცილებელი საკვანძო კომპეტენციები;

ბ. მიაწოდოს ევროპული სარეკომენდაციო ინსტრუმენტი პოლიტიკის შემმუშავებლებს, განათლებისა და მომზადების პროვაიდერებს, საგანმანათლებლო პერსონალს, დამსაქმებლებს, დასაქმების საჯარო სააგენტოებსა და თავად მოსწავლეებს;

გ. ევროპულ, ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე მხარი დაუჭიროს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის პერსპექტივაში საკვანძო კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობას.

საკვანძო კომპეტენციები

ამ რეკომენდაციების მიზნებისათვის კომპეტენცია განისაზღვრა, როგორც ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების კომბინაცია, სადაც:

- ა) ცოდნა მოიცავს უკვე დადგენილ ფაქტებსა და ციფრებს, კონცეფციებს, იდეებსა და თეორიებს და ხელს უწყობს გარკვეული სფეროს ან საგნის გაგებას;
- ბ) უნარი განისაზღვრა, როგორც შედეგის მისაღწევად პროცესების განხორციელებისა და არსებული ცოდნის გამოყენების შესაძლებლობა;
- გ) დამოკიდებულება აღწერს იმ განწყობასა და მენტალობას, რომელიც განაპირობებს ქმედებასა და რეაქციას იდეების, ადამიანებისა და სიტუაციების მიმართ.

საკვანძო კომპეტენციები არის ის კომპეტენციები, რომლებიც ყველა ადამიანს სჭირდება საკუთარი პიროვნების გახსნისა და განვითარების, დასაქმებადობის, სოციალური ჩართულობის, ცხოვრების მდგრადი წესის, მშვიდობიან საზოგადოებაში წარმატებული ცხოვრების, ჯანსაღი ცხოვრების წესისა და აქტიური მოქალაქეობისათვის. ეს კომპეტენციები ვითარდება მთელი სიცოცხლის მანძილზე (ადრეული ასაკიდან დაწყებული მთელი ზრდასრული ცხოვრების განმავლობაში) ფორმალური, არაფორმალური და თვითგანათლების მეშვეობით, მათ შორის ოჯახში, სკოლაში, სამუშაო ადგილზე, სამეზობლოსა და სხვა სათემო გარემოში.

ყველა საკვანძო კომპეტენცია თანაბრად მნიშვნელოვანია, თითოეული მათგანი ხელს უწყობს საზოგადოებაში წარმატებულ ცხოვრებას. კომპეტენციების გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა გარემოში და სხვადასხვა კომბინაციით. ისინი ერთმანეთს ფარავს და ურთიერთდაკავშირებულია: ერთი დომენისთვის მნიშვნელოვანი ასპექტი ხელს უწყობს მეორე დომენის კომპეტენციას. ისეთი უნარები, როგორებიცაა: კრიტიკული აზროვნება, პრობლემის გადაჭრა, გუნდური მუშაობა, კომუნიკაცია და მოლაპარაკების უნარები, ანალიტიკური უნარები, კრეატიულობა და ინტერკულტურული უნარები ჩადებულია ყველა საკვანძო კომპეტენციაში.

სარეკომენდაციო ჩარჩო ადგენს რვა საკვანძო კომპეტენციას:

- წიგნიერების (კითხვისა და წერის) კომპეტენცია
- მულტილინგვურობის კომპეტენცია
- მათემატიკის კომპეტენცია და კომპეტენცია საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, ტექნოლოგიებსა და ინჟინერიაში
- ციფრული კომპეტენცია
- პერსონალური, სოციალური და სწავლის (learning to learn) კომპეტენცია
- მოქალაქეობის კომპეტენცია
- სამეწარმეო კომპეტენცია
- კულტურული გაცნობიერებულობისა და გამოხატვის კომპეტენცია.

1. წიგნიერების კომპეტენცია

წიგნიერება არის კონცეფციების, გრძნობების, ფაქტებისა და შეხედულებების იდენტიფიცირების, გაგების, გამოხატვის, შექმნისა და ინტერპრეტირების შესაძლებლობა როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი ფორმითა და ვიზუალური, ხმის/აუდიო და ციფრული მასალის გამოყენებით სხვადასხვა დისციპლინასა და კონტექსტში. აღნიშნული გულისხმობს შესაბამისი და კრეატიული გზით სხვებთან ეფექტურად კომუნიკაციისა და დაკავშირების შესაძლებლობას.

წიგნიერების განვითარება ქმნის საფუძველს შემდგომი სწავლისა და ლინგვისტური ინტერაქციისათვის. კონტექსტიდან გამომდინარე, წიგნიერების კომპეტენციის განვითარება შესაძლებელია მშობლიურ ენაზე, სწავლის ენაზე ან/და ქვეყნის ან რეგიონის ოფიციალურ ენაზე.

ამ კომპეტენციასთან დაკავშირებული აუცილებელი ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები

ეს კომპეტენცია მოიცავს კითხვისა და წერის ცოდნას და წერილობითი ინფორმაციის კარგ გაგებას, რაც მოითხოვს ლექსიკის, ფუნქციონალური გრამატიკისა და ენის ფუნქციების ცოდნას. ის მოიცავს ვერბალური ინტერაქციის ძირითადი სახეების, ლიტერატურული და არალიტერატურული ტექსტებისა და ასევე ენის სხვადასხვა სტილისა და რეგისტრის ძირითადი მახასიათებლების ცოდნას.

ადამიანებს უნდა ჰქონდეთ განსხვავებულ სიტუაციებში ზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაციის უნარი და სიტუაციის გათვალისწინებით უნდა შეძლონ თავიანთი კომუნიკაციის მონიტორინგი და ადაპტირება. ეს კომპეტენცია ასევე მოიცავს პირის შესაძლებლობას, განასხვავოს და გამოიყენოს სხვადასხვა სახის წყარო; მოძებნოს, შეაგროვოს და დაამუშაოს ინფორმაცია; გამოიყენოს დამხმარე რესურსები, ჩამოაყალიბოს და გამოხატოს საკუთარი ზეპირი და წერილობითი არგუმენტები დამაჯერებლად და კონტექსტისთვის შესაბამისად. ის მოიცავს კრიტიკულ აზროვნებასა და ინფორმაციის შეფასებისა და დამუშავების შესაძლებლობას.

წიგნიერებისადმი პოზიტიური დამოკიდებულება მოიცავს კრიტიკული და კონსტრუქციული დიალოგისადმი მიდრეკილებას, ენის ესთეტიკის გაგებასა და სხვებთან ინტერაქციით დაინტერესებას. ეს გულისხმობს სხვებზე ენის გავლენის ცოდნასა და იმის აუცილებლობას, რომ გაიაზროს და გამოიყენოს ენა პოზიტიურად და სოციალური პასუხისმგებლობით.

2. მულტილინგურობის კომპეტენცია²⁴

ეს კომპეტენცია განსაზღვრავს კომუნიკაციისათვის სხვადასხვა ენის სათანადოდ და ეფექტურად გამოყენების შესაძლებლობას. ის არსებითად იზიარებს წიგნიერებისათვის საჭირო უნარებს: ის ეფუძნება კონცეფციების, შეხედულებების, გრძნობების, ფაქტებისა და მოსაზრებების გაგების, გამოხატვისა და ინტერპრეტაციის შესაძლებლობას ზეპირი და წერილობითი ფორმით (მოსმენა, საუბარი, კითხვა და წერა), საზოგადოებრივი და კულტურული კონტექსტის სათანადო დიაპაზონში, პირის სურვილებისა და საჭიროებების გათალისწინებით. ენის კომპეტენცია ახდენს ისტორიული განზომილებისა და ინტერკულტურული კომპეტენციების ინტეგრირებას. ის ეყრდნობა შესაძლებლობას, შეასრულოს შუამავლის როლი სხვადასხვა ენასა და მედიებს შორის, როგორც ეს აღნიშნულია ენების საერთო ევროპულ ჩარჩოში. საჭიროების შემთხვევაში, ის შეიძლება მოიცავდეს მშობლიური ენის შენარჩუნებისა და შემდგომი განვითარების კომპეტენციებს, ისევე როგორც ქვეყნის ოფიციალური ენ(ებ)ის შესწავლას²⁵.

ამ კომპეტენციასთან დაკავშირებული აუცილებელი ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები

ეს კომპეტენცია მოითხოვს ლექსიკის, სხვადასხვა ენის ფუნქციონალური გრამატიკისა და ვერბალური ინტერაქციის ძირითადი სახეებისა და ენების რეგისტრების ცოდნას. მნიშვნელოვანია ასევე საერთო, საზოგადოებრივი ჩვეულებების, კულტურული ასპექტებისა და ენების ცვალებადობის ცოდნა.

ამ კომპეტენციისათვის აუცილებელი უნარები, პირის ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე, მოიცავს ზეპირი შეტყობინების გაგების შესაძლებლობას, საუბრის ინიცირებას, გაგრძელებასა და დასრულებას, ასევე ტექსტის წაკითხვას, გაგებასა და მომზადებას სხვადასხვა ენაზე განსხვავებული დონის შესაძლებლობებით. ადამიანებს უნდა შეეძლოთ ინსტრუმენტების სათანადოდ გამოყენება და ენების ფორმალური, არაფორმალური და თვითგანათლების გზით შესწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე.

პოზიტიური დამოკიდებულება მოიცავს კულტურული მრავალფეროვნების დაფასებას, სხვადასხვა ენითა და ინტერკულტურული კომუნიკაციით დაინტერესებასა და ცნობისმოყვარეობას. ის ასევე მოიცავს თითოეული პირის ინდივიდუალური ლინგვისტური პროფილის პატივისცემას, მათ შორის

²⁴ მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის მრავალენოვნების კომპეტენციის აღსანიშნავად ევროსაბჭო იყენებს ტერმინს “პლურილინგვიზმი,” ევროკავშირის ოფიციალური დოკუმენტი იყენებს ტერმინს “მულტილინგვიზმი”, როგორც პიროვნული, ასევე სოციალური სიტუაციის აღწერისათვის. ეს ნაწილობრივ გამოწვეულია იმით, რომ ინგლისურისა და ფრანგულის გარდა, სხვა ევროპულ ენებში რთულია განსხვავების ჩვენება “პლურილინგვიზმსა” და “მულტილინგვიზმს” შორის.

²⁵ ის ასევე მოიცავს კლასიკური ენების, ძველი ბერძნულისა და ლათინურის შესწავლას. კლასიკური ენები არის წყარო ბევრი თანამედროვე ენისათვის და, შესაბამისად, ზოგადად ენების შესწავლას უწყობს ხელს.

უმცირესობების ან/და მიგრანტების მშობლიური ენის პატივისცემასა და ქვეყნის ოფიციალური ენ(ებ)ის, როგორც ინტერაქციის საერთო ჩარჩოს, დაფასებას.

3. მათემატიკის კომპეტენცია და კომპეტენცია საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, ტექნოლოგიებსა და ინჟინერიაში

ა. მათემატიკის კომპეტენცია არის მათემატიკური აზროვნებისა და გაგების განვითარებისა და გამოყენების შესაძლებლობა ყოველდღიურ სიტუაციებში მთელი რიგი პრობლემების გადაჭრის მიზნით. რაოდენობრივ წიგნიერებაში გაწაფულობაზე დაყრდნობით, აქცენტი კეთდება პროცესსა და აქტივობაზე, ისევე როგორც ცოდნაზე. მათემატიკის კომპეტენცია, სხვადასხვა ხარისხით, მოიცავს ადამიანის შესაძლებლობასა და მზაობას, გამოიყენოს აზროვნებისა და პრეზენტაციის (ფორმულები, მოდელები, კონსტრუქციები, გრაფიკები, სქემები) მათემატიკური მეთოდები.

ბ. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კომპეტენცია გულისხმობს ადამიანის შესაძლებლობასა და მზაობას, ახსნას ბუნებრივი სამყარო ცოდნისა და მეთოდოლოგიის გამოყენებით, რაც ასევე მოიცავს დაკვირვებასა და ექსპერიმენტებს საკითხის იდენტიფიცირებისა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული დასკვნების ჩამოყალიბების მიზნით. კონპეტენციები ტექნოლოგიასა და ინჟინერიაში გულისხმობს ადამიანების მოთხოვნილებების ან საჭიროებების საპასუხოდ ამ ცოდნისა და მეთოდოლოგიის გამოყენებას. კომპეტენციები საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, ტექნოლოგიებსა და ინჟინერიაში მოიცავს ადამიანების აქტივობებით გამოწვეული ცვლილებების გააზრებასა და თითოეული მოქალაქის პასუხისმგებლობას.

ამ კომპეტენციასთან დაკავშირებული აუცილებელი ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები

ა. აუცილებელი ცოდნა მათემატიკაში მოიცავს რიცხვების, საზომებისა და სტრუქტურების, საბაზო მოქმედებებისა და საბაზო მათემატიკური წარმოდგენების კარგ ცოდნას; მათემატიკური ტერმინებისა და კონცეფციების გაგებასა და იმ კითხვების ცოდნას, რომელზეც მათემატიკას პასუხის გაცემა შეუძლია.

ადამიანს უნდა ჰქონდეს საბაზო მათემატიკური პრინციპებისა და პროცესების ყოველდღიურ გარემოში, სახლსა და სამსახურში, გამოყენების (ე.წ. ფინანსური უნარები) და არგუმენტების ჯაჭვზე გაყოლისა და შეფასების უნარები. ადამიანს უნდა შეეძლოს მათემატიკურად აზროვნება, მათემატიკური მტკიცებულების გაგება და მათემატიკის ენაზე კომუნიკაცია, სათანადო რესურსების, მათ შორის, სტატისტიკური მონაცემებისა და გრაფიკების, გამოყენება და დიგიტალიზაციის მათემატიკური ასპექტების გააზრება.

მათემატიკისადმი პოზიტიური დამოკიდებულება ეფუძნება ჭეშმარიტების პატივისცემას და მიზეზების მოძებნისა და მათი მართებულობის შეფასებისათვის მზადყოფნას.

ბ. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, ტექნოლოგიებისა და ინჟინერიისათვის აუცილებელი ცოდნა მოიცავს ბუნებრივი სამყაროს საბაზო პრინციპებს, ფუნდამენტურ სამეცნიერო კონცეფციებს, თეორიებს, პრინციპებსა და მეთოდებს, ტექნოლოგიას, ტექნოლოგიურ პროდუქტებსა და პროცესებს, ასევე ბუნებრივ სამყაროზე მეცნიერების, ტექნოლოგიების, ინჟინერიისა და, ზოგადად, ადამიანის აქტივობის გავლენის გააზრებას. ამ კომპეტენციებმა საშუალება უნდა მისცეს ადამიანს, უკეთ გააზროს სამეცნიერო თეორიების, მათი გამოყენებისა და ტექნოლოგიების უპირატესობები, შეზღუდვები და რისკები საზოგადოებისათვის (გადაწყვეტილების მიღების, ღირებულებების, მორალური საკითხების, კულტურის და ა.შ. გათვალისწინებით).

უნარები მოიცავს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, როგორც გამოკვლევის პროცესის, გაგებას, რომელიც ხორციელდება სპეციფიკური მეთოდოლოგიის, მათ შორის, დაკვირვებითა და კონტროლირებადი ექსპერიმენტების, მეშვეობით; ასევე ლოგიკური და რაციონალური აზროვნების გამოყენების შესაძლებლობას ჰიპოტეზების გადასამოწმებლად და მზაობას საკუთარი შეხედულებების უარყოფისადმი, თუ ისინი ეწინააღმდეგება ახალი ექსპერიმენტის შედეგებს. ის მოიცავს ადამიანების შესაძლებლობას, გამოიყენონ ტექნოლოგიური ინსტრუმენტები და მანქანები, ისევე როგორც სამეცნიერო მონაცემები, დასახული მიზნის მისაღწევად (ასევე მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების ან დასკვნის მისაღებად). ადამიანებს ასევე უნდა შეეძლოთ სამეცნიერო კვლევის არსებითი მახასიათებლების ამოცნობა, კომუნიკაცია დასკვნებსა და ამ დასკვნის განმაპირობებელ არგუმენტებზე.

კომპეტენცია მოიცავს ისეთ დამოკიდებულებებს, როგორებიცაა: კრიტიკული შეფასება და ცნობისმოყვარეობა, ეთიკური საკითხებით დაინტერესება და უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი მდგრადობის მხარდაჭერა, რაც უკავშირდება სამეცნიერო და ტექნოლოგიურ პროგრესსა და მის გავლენებს ადამიანზე, ოჯახზე, საზოგადოებრივ და გლობალურ საკითხებზე.

4. ციფრული კომპეტენცია

ციფრული კომპეტენცია გულისხმობს ციფრული ტექნოლოგიების დარწმუნებით, კრიტიკულად და პასუხისმგებლობით გამოყენებას სწავლისათვის, შრომით საქმიანობასა და საზოგადოებაში მონაწილეობისათვის. ის მოიცავს ინფორმაციისა და მონაცემების წიგნიერებას, კომუნიკაციასა და თანამშრომლობას, მედია წიგნიერებას, ციფრული კონტენტის შექმნას (მათ შორის პროგრამირებას), უსაფრთხოებას (მათ შორის ციფრულ კეთილდღეობასა და კიბერუსაფრთხოებასთან დაკავშირებულ კომპეტენციებს), ინტელექტუალურ

საკუთრებასთან დაკავშირებულ კითხვებს, პრობლემის გადაჭრასა და კრიტიკულ აზროვნებას.

ამ კომპეტენციასთან დაკავშირებული აუცილებელი ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები

ადამიანებმა უნდა გაიაზრონ, თუ როგორ უწყობს ხელს ციფრული ტექნოლოგიები კომუნიკაციას, კრეატიულობასა და ინოვაციებს და გააცნობიერონ მისი შესაძლებლობები, შეზღუდვები, ეფექტები და რისკები. მათ უნდა გაიაზრონ ზოგადი პრინციპები, მექანიზმები და ლოგიკა, რაც საფუძვლად უდევს ციფრული ტექნოლოგიების განვითარებას და იცოდნენ სხვადასხვა მოწყობილობის, კომპიუტერული პროგრამისა და ქსელის საბაზო ფუნქციები და გამოყენება. ადამიანები კრიტიკულად უნდა მიუდგნენ ციფრული საშუალებებით ხელმისაწვდომი ინფორმაციისა და მონაცემების ნამდვილობას, სანდოობასა და გავლენას და იცოდნენ ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებული სამართლებრივი და ეთიკური პრინციპები.

ადამიანებმა უნდა შეძლონ ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება, რათა ხელი შეუწყონ თავიანთ აქტიურ მოქალაქეობასა და სოციალურ ჩართულობას, სხვებთან თანამშრომლობასა და კრეატიულობას პერსონალური, სოციალური და კომერციული მიზნების მისაღწევად. უნარები მოიცავს ციფრული კონტენტის გამოყენების, წვდომის, გაფილტვრის, შეფასების, შექმნის, პროგრამირებისა და გაზიარების შესაძლებლობას. ადამიანებს უნდა შეეძლოთ ინფორმაციის, კონტენტის, მონაცემისა და ციფრული იდენტობის მართვა და დაცვა, ისევე როგორც კომპიუტერული პროგრამების, მოწყობილობების, ხელოვნური ინტელექტის ან რობოტების ამოცნობა და ეფექტურად გამოყენება.

ციფრულ ტექნოლოგიებსა და კონტენტთან ურთიერთობა მოითხოვს მისი ევოლუციისადმი რეფლექსიურ და კრიტიკულ, ამასთან ცნობისმოყვარე, ღია და შორსმხედველურ დამოკიდებულებას, ასევე ამ მოწყობილობების გამოყენებისას ეთიკურ, უსაფრთხო და პასუხისმგებლობით მიდგომას.

5. პერსონალური, სოციალური და სწავლის (learning to learn) კომპეტენცია

პერსონალური, სოციალური და სწავლის (learning to learn) კომპეტენცია არის საკუთარ მოქმედებაზე რეფლექსიის, დროისა და ინფორმაციის მართვის, სხვებთან კონსტრუქციულად მუშაობის, მდგრადობის შენარჩუნების, საკუთარი სწავლისა და კარიერის მართვის შესაძლებლობა. ის მოიცავს გაურკვევლობისა და სირთულეების გამკლავების შესაძლებლობას, სწავლის სწავლას (ისწავლო, თუ როგორ უნდა ისწავლო), საკუთარი ფიზიკური და ემოციური სიჯანსაღის ხელშეწყობას, ფიზიკური და ემოციური ჯანმრთელობის შენარჩუნებას, ჯანსაღი და მომავალზე ორიენტირებული ცხოვრების წესით ცხოვრების შესაძლებლობას, თანაგრძნობასა და კონფლიქტების მართვას ინკლუზიურ და მხარდამჭერ კონტექსტში.

ამ კომპეტენციასთან დაკავშირებული აუცილებელი ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები

წარმატებული ინტერპერსონალური ურთიერთობებისა და სოციალური მონაწილეობისათვის აუცილებელია, სხვადასხვა საზოგადოებასა და გარემოში საერთოდ მიღებული ქცევის კოდექსებისა და კომუნიკაციის წესების გაგება. პერსონალური, სოციალური და სწავლის კომპეტენცია მოითხოვს ასევე ჯანსაღი სულის, სხეულისა და ცხოვრების წესის კომპონენტების ცოდნას. ეს მოიცავს კონკრეტული პირისათვის სასურველი სასწავლო სტრატეგიების ცოდნას, საკუთარი კომპეტენციების განვითარების საჭიროებისა და ამ კომპეტენციების განვითარების სხვადასხვა გზის ცოდნას, ასევე განათლების, მომზადების, კარიერული შესაძლებლობებისა და კონსულტაციის ან შესაძლო მხარდაჭერის მოძიების ცოდნას.

უნარები მოიცავს პირის მიერ საკუთარი შესაძლებლობების იდენტიფიცირების, კონცენტრირების, სირთულეებთან გამკლავების, კრიტიკული აზროვნებისა და გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობებს. ეს მოიცავს როგორც ერთობლივად, ასევე ავტონომიურად სწავლასა და მუშაობას, ასევე საკუთარი სწავლის ორგანიზებასა და შეუპოვრად განხორციელებას, მის შეფასებასა და გაზიარებას, საჭიროების შემთხვევაში, დახმარების მოძიებასა და საკუთარი კარიერისა და სოციალური ინტერაქციების ეფექტურად მართვას. ადამიანები უნდა იყვნენ სტაბილურები და უნდა შეეძლოთ გაურკვეველობებისა და სტრესებისადმი გამკლავება. მათ უნდა შეეძლოთ სხვადასხვა გარემოში კონსტრუქციული კომუნიკაცია, გუნდთან თანამშრომლობა და მოლაპარაკების წარმართვა. ეს მოიცავს ტოლერანტობას, განსხვავებული შეხედულებების გამოხატვასა და გაგებას, ისევე როგორც ნდობის ჩამოყალიბებისა და თანაგრძნობის შესაძლებლობას.

კომპეტენცია ეფუძნება ადამიანის პიროვნული, სოციალური და ფიზიკური კეთილდღეობისადმი (ისევე როგორც მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლისადმი) პოზიტიურ დამოკიდებულებას. ის ეფუძნება თანამშრომლობის, საკუთარ თავში დარწმუნებულობისა და პატიოსნების დამოკიდებულებას. ის მოიცავს სხვების განსხვავებულობისა და მათი საჭიროებების პატივისცემასა და მზადყოფნას არა მარტო წინასწარ ჩამოყალიბებული განწყობების დასაძლევად, არამედ ასევე კომპრომისებისათვისაც. ადამიანებმა უნდა შეძლონ მიზნების იდენტიფიცირება და ჩამოყალიბება, საკუთარი თავის მოტივირება და სტაბილურობისა და საკუთარი თავის ნდობის განვითარება, რათა შეძლონ მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლა და მიაღწიონ წარმატებას. პრობლემის გადაჭრისადმი მზაობა ხელს უწყობს ორივეს, სასწავლო პროცესსა და პირის შესაძლებლობას, გაუმკლავდეს დაბრკოლებებსა და ცვლილებებს. ის მოიცავს ადრე მიღებული განათლებისა და ცხოვრებისეული გამოცდილების გამოყენების სურვილსა და ცნობისმოყვარეობას, რომ მოიძიოს სწავლისა და განვითარების შესაძლებლობები სხვადასხვა ცხოვრებისეულ კონტექსტში.

6. მოქალაქეობის კომპეტენცია

მოქალაქეობის კომპეტენცია არის შესაძლებლობა იმოქმედო, როგორც პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქემ და მიიღო სრულფასოვანი მონაწილეობა სამოქალაქო და სოციალურ ცხოვრებაში, რაც ეფუძნება სოციალური, ეკონომიკური, სამართლებრივი და პოლიტიკური კონცეფციებისა და სტრუქტურების, ასევე გლობალური განვითარებისა და მდგრადობის გააზრებას.

ამ კომპეტენციასთან დაკავშირებული აუცილებელი ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები

მოქალაქეობის კომპეტენცია ეფუძნება ადამიანებთან, ჯგუფებთან, ორგანიზაციებთან, საზოგადოებასთან, ეკონომიკასა და კულტურასთან დაკავშირებულ საბაზო კონცეფციებისა და მოვლენების ცოდნას. ის გულისხმობს საერთო ევროპული ღირებულებების გაგებას ისე, როგორც ეს აღწერილია ევროკავშირის ხელშეკრულების მე-2 მუხლსა და ევროკავშირის ადამიანის ფუნდამენტური უფლებების ქარტილაში. ის მოიცავს როგორც თანამედროვე მოვლენების ცოდნას, ასევე ეროვნული, ევროპული და მსოფლიო ისტორიის ძირითადი მოვლენების კრიტიკულ გააზრებას. გარდა ამისა, ის მოიცავს სოციალური და პოლიტიკური მოძრაობების მიზნების, ღირებულებებისა და პოლიტიკის, ისევე როგორც მდგრადი სისტემების (განსაკუთრებით კი გლობალურ დონეზე კლიმატისა და დემოგრაფიული ცვლილებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების) ცოდნას. დიდი მნიშვნელობა აქვს ევროპული ინტეგრაციის ცოდნას, ასევე ევროპასა და მსოფლიოში მრავალფეროვნებისა და კულტურული იდენტობების გაგებას. ის მოიცავს ევროპული საზოგადოებების მულტიკულტურული და სოციო-ეკონომიკური განზომილებების და ასევე იმის გაგებას, თუ როგორ უწყობს ხელს ეროვნული კულტურული იდენტობა ევროპულ იდენტობას.

მოქალაქეობის კომპეტენციებისათვის საჭირო უნარები უკავშირდება საერთო ან საზოგადოებრივ ინტერესებში (მათ შორის საზოგადოების მდგრადი განვითარების საკითხებში) სხვებთან ერთად ეფექტურად ჩართულობის შესაძლებლობას. ის მოიცავს კრიტიკულ აზროვნებასა და პრობლემის ინტეგრირებულად გადაჭრის უნარს, ისევე როგორც არგუმენტების ჩამოყალიბების, საზოგადოებრივ საქმიანობაში კონსტრუქციული მონაწილეობისა და ყველა დონეზე (ადგილობრივი და ეროვნული დონიდან ევროპულ და საერთაშორისო დონემდე) გადაწყვეტილების მიღების უნარებს. ის ასევე მოიცავს როგორც ტრადიციული, ასევე ახალი ფორმის მედიის ხელმისაწვდომობის, მათი კრიტიკული გააზრებისა და მათთან ინტერაქციის შესაძლებლობებსა და დემოკრატიულ საზოგადოებაში მედიის როლისა და ფუნქციის გაგებას.

ადამიანის უფლებების, როგორც დემოკრატიის საფუძვლის, პატივისცემა საძირკველს უყრის პასუხისმგებლობასა და კონსტრუქციულ დამოკიდებულებას.

კონსტრუქციული მონაწილეობა მოიცავს ყველა დონესა და საზოგადოებრივ საქმიანობაში დემოკრატიული გადაწყვეტილების მისაღებად მონაწილეობისათვის მზაობას. ის მოიცავს სოციალური და კულტურული მრავალფეროვნების, გენდერული თანასწორობის, სოციალური ერთსულოვნებისა და ცხოვრების მდგრადი წესის ხელშეწყობას, მშვიდობისა და არამალადობის კულტურის მხარდაჭერას, სხვების პირადი ცხოვრების პატივისცემისა და გარემოზე პასუხისმგებლობის აღებისადმი მზადყოფნას. აუცილებელია დაინტერესება პოლიტიკური და სოციო-ეკონომიკური განვითარებით, ჰუმანიტარული და ინტერკულტურული კომუნიკაციით, რათა ადამიანები მოემზადონ როგორც წინასწარ ჩამოყალიბებული უარყოფითი შეხედულებების დასაძლევად და (სადაც საჭიროა) კომპრომისზე წასასვლელად, ასევე სოციალური სამართლიანობისა და, ზოგადად, სამართლიანობის უზრუნველსაყოფად.

7. სამეწარმეო კომპეტენცია

სამეწარმეო კომპეტენცია გულისხმობს შესაძლებლობებისა და იდეების გამოყენების და სხვებისთვის მათი ფასეულობებად გარდაქმნის შესაძლებლობას. ის ეფუძნება კრეატიულობას, კრიტიკულ აზროვნებასა და პრობლემის გადაჭრას, ინიციატივის აღებასა და შეუპოვრობას, ასევე კულტურული, სოციალური ან ფინანსური ღირებულების მქონე პროექტების დაგეგმვისა და მართვისათვის ერთობლივად მუშაობის შესაძლებლობას.

ამ კომპეტენციასთან დაკავშირებული აუცილებელი ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები

სამეწარმეო კომპეტენცია მოითხოვს იმის ცოდნას, რომ პიროვნულ, სოციალურ და პროფესიულ საქმიანობაში იდეების აქტივობებად გარდაქმნის განსხვავებული კონტექსტები და შესაძლებლობები არსებობს და იმის გაგებას, თუ როგორ ხდება მათი წარმოშობა. ადამიანებმა უნდა იცოდნენ და გაიაზრონ პროექტების დაგეგმვისა და მართვის მიდგომები, რომლებიც მოიცავს როგორც პროცესებს, ასევე რესურსებს. მათ უნდა ჰქონდეთ წარმოდგენა ეკონომიკაზე, სოციალურ და ეკონომიკურ შესაძლებლობებსა და დამსაქმებლის, ორგანიზაციისა და საზოგადოების წინაშე მდგარ გამოწვევებზე. მათ ასევე უნდა იცოდნენ ეთიკური პრინციპები, მდგრადი განვითარების გამოწვევები და უნდა აცნობიერებდნენ საკუთარ ძლიერ და სუსტ მხარეებს.

სამეწარმეო უნარები ეფუძნება კრეატიულობას, რომელიც მოიცავს წარმოსახვას, სტრატეგიულ აზროვნებას, პრობლემის გადაჭრას, კრიტიკულ და კონსტრუქციულ რეფლექსიას განვითარებადი კრეატიული პროცესებისა და ინოვაციების ფარგლებში, ასევე არა მარტო ინდივიდუალურად, არამედ გუნდში კოლაბორაციულად მუშაობის, რესურსების მობილიზებისა (ადამიანები და საგნები) და მდგრადი საქმიანობის შესაძლებლობას. აღნიშნული მოიცავს დანახარჯებსა და ღირებულებასთან დაკავშირებული ფინანსური გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას, ეფექტური კომუნიკაციისა და

მოლაპარაკებების, ასევე გაურკვეველობების, ბუნდოვანებისა და რისკებისადმი გამკლავების შესაძლებლობას, როგორც დასაბუთებული (ინფორმაციაზე დაფუძნებული) გადაწყვეტილების მიღების მნიშვნელოვან ნაწილს.

სამეწარმეო დამოკიდებულება ხასიათდება დასახული მიზნის მისაღწევად ინიციატივისა და აქტივობის, პროაქტივობის, მომავალზე ორიენტირებულობის (შორსმხედველობის), გამბედაობისა და შეუპოვრობის გრძნობით. ის მოიცავს სხვების მოტივირების სურვილსა და მათი იდეების დაფასებას, თანაგრძნობასა და ადამიანებსა და სამყაროზე ზრუნვას, ასევე ყველა პროცესისადმი ეთიკურად მიდგომისთვის პასუხისმგებლობის აღებას.

8. კულტურული გაცნობიერებულობისა და გამოხატვის კომპეტენცია

კულტურული გაცნობიერებულობისა და გამოხატვის კომპეტენცია მოიცავს იმის გაგებასა და პატივისცემას, თუ როგორ ხდება იდეებისა და მოსაზრებების კრეატიულად გამოხატვა და გადაცემა სხვადასხვა კულტურაში ხელოვნებისა და სხვა კულტურული ფორმების მეშვეობით. ის ასევე მოიცავს ადამიანის მცდელობას გაიგოს, განავითაროს და გამოხატოს საკუთარი იდეები და შეიგრძნოს საკუთარი ადგილი ან როლი საზოგადოებაში სხვადასხვა გზითა და სხვადასხვა კონტექსტში.

ამ კომპეტენციასთან დაკავშირებული აუცილებელი ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები

ეს კომპეტენცია მოითხოვს ადგილობრივი, ეროვნული, რეგიონული, ევროპული და გლობალური კულტურებისა და გამოხატვის (მათ შორის მათი ენების, მემკვიდრეობის, ტრადიციებისა და კულტურული პროდუქტების) ცოდნასა და იმის გაგებას, თუ რა გავლენის მოხდენა შეუძლია გამოხატვის ამ ფორმებს ერთმანეთსა და ადამიანის იდეებზე. ის მოიცავს იდეების გადაცემის განსხვავებულ გზებს ავტორს/შემოქმედს, მონაწილესა და აუდიტორიას შორის წერილობითი, ნაბეჭდი და ციფრული ტექსტების, თეატრის, კინოს, ცეკვის, თამაშების, ხელოვნებისა და დიზაინის, მუსიკის, რიტუალებისა და არქიტექტურის, ასევე ჰიბრიდული ფორმების მეშვეობით. ეს მოითხოვს მულტიკულტურულ სამყაროში საკუთარი იდენტობის ჩამოყალიბებისა და კულტურული მემკვიდრეობის გაგებას და ასევე იმის გააზრებას, რომ ხელოვნება და კულტურის სხვა ფორმება შეიძლება იყოს როგორც სამყაროს ხედვის, ასევე მისი ფორმირების საშუალება.

უნარები მოიცავს მხატვრული და აბსტრაქტული იდეების, გამოცდილებებისა და ემოციების თანაგრძნობით გამოხატვისა და ინტერპრეტირების შესაძლებლობას, ისევე როგორც აღნიშნულის ხელოვნებისა და სხვა კულტურული ფორმებით გამოხატვის შესაძლებლობას. უნარები ასევე მოიცავს ხელოვნებისა და სხვა კულტურული ფორმების მეშვეობით პერსონალური, სოციალური ან კომერციული ღირებულებების იდენტიფიცირებისა და რეალიზების

შესაძლებლობას და შემოქმედებით პროცესებში როგორც ინდივიდუალურად, ასევე კოლექტიურად ჩართვის შესაძლებლობასაც.

მნიშვნელოვანია კულტურული გამოხატვის მრავალფეროვნებისადმი გახსნილი დამოკიდებულებისა და პატივისცემის ქონა, ინტელექტუალური და კულტურული საკუთრებისადმი ეთიკურ და პასუხისმგებლიან მიდგომასთან ერთად. პოზიტიური დამოკიდებულება ასევე მოიცავს სამყაროს შესახებ ცნობისმოყვარეობას, გახსნილობას ახალი შესაძლებლობის წარმოსადგენად და კულტურული გამოცდილების მიღების სურვილს.

საკვანძო კომპეტენციების განვითარების მხარდაჭერა

საკვანძო კომპეტენციები არის ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების დინამიური კომბინაცია, რომელთა განვითარებაც საჭიროა მთელი სიცოცხლის მანძილზე, დაწყებული ადრეული ასაკიდან. ინკლუზიური და მაღალი ხარისხის განათლება, მომზადება და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლა ყველას აძლევს საკვანძო კომპეტენციების განვითარების საშუალებას. აქედან გამომდინარე, კომპეტენციაზე ორიენტირებული მიდგომები შეიძლება გამოყენებულ იქნას მთელი სიცოცხლის მანძილზე განათლების, მომზადებისა და სწავლის ყველა გარემოში.

მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის კონტექსტში კომპეტენციაზე ორიენტირებული განათლების, მომზადებისა და სწავლის ხელშეწყობისათვის განისაზღვრა სამი გამოწვევა: მრავალფეროვანი სასწავლო მიდგომებისა და კონტექსტის გამოყენება; მასწავლებლებისა და განათლების სხვა პერსონალის მხარდაჭერა; კომპეტენციის განვითარების შეფასება და ვალიდაცია. ამ გამოწვევებისათვის პასუხის გასაცემად განხორციელდა კარგი გამოცდილების მაგალითების იდენტიფიცირება.

ა. მრავალფეროვანი სასწავლო მიდგომები და გარემო

(ა) სწავლის გამდიდრება შესაძლებელია ინტერდისციპლინური სწავლით, განათლების სხვადასხვა დონეს, მომზადებისა და განათლების აქტორებს (შრომის ბაზრის წარმომადგენლების ჩათვლით) შორის პარტნიორობით, ასევე ერთიანი სასკოლო მიდგომის კონცეფციებით, აქცენტით კოლაბორაციულ სწავლებასა და სწავლაზე, აქტიურ მონაწილეობასა და გადაწყვეტილების მიღებაში მოსწავლეთა მონაწილეობაზე. ინტერდისციპლინური სწავლა კურიკულუმის სხვადასხვა საგანს შორის კავშირების გაძლიერების საშუალებას იძლევა, ასევე ამყარებს მჭიდრო კავშირს სწავლების შინაარსსა და საზოგადოებრივ ცვლილებებსა და აქტუალურ საკითხებს შორის. საგანმანათლებლო და მომზადების დაწესებულებებსა და გარე აქტორებს (ბიზნესის, ხელოვნების, სპორტისა და ახალგაზრდობის წარმომადგენლები, უმაღლესი განათლებისა და კვლევითი

დაწესებულებები) შორის სექტორულ თანამშრომლობას შეუძლია ითამაშოს მთავარი როლი კომპეტენციების ეფექტურ განვითარებაში.

(ბ) საბაზო უნარების შეძენას, ისევე როგორც უფრო ფართო კომპეტენციების განვითარებას, შეიძლება ხელი შეეწყოს აკადემიური განათლების სისტემატური შევსებით, სოციალური და ემოციური განათლებით, ხელოვნებით, ჯანმრთელობის მხარდამჭერი ფიზიკური აქტივობით, მომავალზე ორიენტირებული და ფიზიკურად აქტიური ცხოვრების წესით. პიროვნული, სოციალური და სწავლის კომპეტენციების გაძლიერება ადრეული ასაკიდან ქმნის საფუძველს საბაზო უნარების განვითარებისათვის.

(გ) სწავლის ისეთ მეთოდოლოგიებს, როგორებიცაა გამოკვლევაზე დაფუძნებული, პროექტზე დაფუძნებული, შერეული, ხელოვნებასა და თამაშზე დაფუძნებული, შეუძლია გაზარდოს სწავლის მოტივაცია და ჩართულობა. აღნიშნულის მსგავსად, ექსპერიმენტულმა და სამუშაოზე დაფუძნებულმა სწავლამ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, ტექნოლოგიების, ინჟინერიისა და მათემატიკის (STEM) სამეცნიერო მეთოდებმა შეიძლება ხელი შეუწყოს მთელი რიგი კომპეტენციების განვითარებას.

(დ) სწავლის გაუმჯობესებისა და ციფრული კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობის მიზნით შესაძლებელია მოსწავლეების, საგანმანათლებლო პერსონალისა და განათლების პროვაიდერების წახალისება ციფრული ტექნოლოგიების გამოსაყენებლად. მაგალითად, მონაწილეობა ევროკავშირის ინიციატივაში, როგორიცაა “The EU Code Week”. თვითშეფასების ინსტრუმენტების გამოყენებას, როგორიცაა “SELFIE”, შეუძლია განათლების, მომზადებისა და სწავლის პროვაიდერების ციფრული შესაძლებლობების გაუმჯობესება.

(ე) სამეწარმეო გამოცდილების, კომპანიებში პრაქტიკის ან მეწარმეების მიერ საგანმანათლებლო და მომზადების დაწესებულებებში ვიზიტების სპეციფიკური შესაძლებლობები, მათ შორის ისეთი პრაქტიკული სამეწარმეო გამოცდილებები, როგორებიცაა კრეატიულობის გამოწვევები, სტარტაპები, სტუდენტების სათემო ინიციატივები, ბიზნეს-სიმულაციები ან სამეწარმეო პროექტზე დაფუძნებული სწავლება, შეიძლება განსაკუთრებით სასარგებლო იყოს ახალგაზრდებისათვის, ისევე როგორც ზრდასრულებისა და მასწავლებლებისათვის. სასკოლო განათლების პერიოდში ახალგაზრდებს უნდა მიეცეთ, სულ მცირე, ერთი სამეწარმეო გამოცდილების მიღების შესაძლებლობა. ადგილობრივ დონეზე, განსაკუთრებით სასოფლო დასახლებებში, სასკოლო, სათემო და ბიზნეს პარტნიორობებმა და პლატფორმებმა სამეწარმეო განათლების გავრცელებაში შეიძლება წამყვანი როლი ითამაშონ. მასწავლებლებისა და დირექტორების შესაბამისი მომზადება და მხარდაჭერა შეიძლება იყოს გადამწყვეტი მნიშვნელობის მდგრადი პროგრესისა და ლიდერობისათვის.

(ვ) მულტილინგურობის კომპეტენცია შეიძლება განვითარდეს უცხოურ საგანმანათლებლო, მომზადებისა და სასწავლო დაწესებულებებთან მჭიდრო თანამშრომლობით, მასწავლებლებისა და მოსწავლეების მობილურობითა და “eTwinning”-ის, “EPALE”-ისა ან/და მსგავსი ონლაინ პორტალების გამოყენებით.

(ზ) ყველა მოსწავლემ, მათ შორის სოციალურად დაუცველმა ან სპეციალური საჭიროების მქონე პირმა, ინკლუზიურ გარემოში შეიძლება მიიღოს სათანადო მხარდაჭერა თავიანთი საგანმანათლებლო პოტენციალის რეალიზებისათვის. ასეთი მხარდაჭერა შეიძლება მოიცავდეს ენის სწავლებას, აკადემიურ და სოციალურ-ეკონომიკურ მხარდაჭერას, თანატოლების სწავლებას, კლასგარეშე აქტივობას, კარიერულ კონსულტაციებს (პროფორიენტაციას) ან მატერიალურ დახმარებას.

(თ) საგანმანათლებლო, მომზადებისა და სასწავლო დაწესებულებებს შორის ყველა დონეზე თანამშრომლობა შეიძლება იყოს გადამწყვეტი მთელი სიცოცხლის მანძილზე მოსწავლის კომპეტენციის განვითარების უწყვეტობის გაუმჯობესებისა და ინოვაციური სასწავლო მიდგომების განვითარებისათვის.

(ი) ადგილობრივ თემებში საგანმანათლებლო და მომზადების დაწესებულებებს, არასაგანმანათლებლო პარტნიორებსა და დამსაქმებლებს შორის თანამშრომლობამ ფორმალურ, არაფორმალურ განათლებასა და თვითგანათლებასთან კომბინაციით, შეიძლება ხელი შეუწყოს კომპეტენციის განვითარებას და გააადვილოს გადასვლა განათლებიდან სამუშაო გარემოში, ისევე როგორც სამუშაოდან განათლებაში.

ბ. საგანმანათლებლო პერსონალის მხარდაჭერა

(ა) განათლების, მომზადებისა და სწავლისადმი კომპეტენციაზე ორიენტირებული მიდგომების საწყის/პირველად განათლებასა და უწყვეტ პროფესიულ განვითარებაში ჩართვა, შეიძლება დაეხმაროს საგანმანათლებლო პერსონალს თავის სასწავლო გარემოში განახორციელოს ცვლილებები სწავლებასა და სწავლაში და გახდეს კომპეტენტური ამ მიდგომების გამოყენებაში.

(ბ) საგანმანათლებლო პერსონალს შეიძლება გაეწიოს დახმარება, მათი სპეციფიკური გარემოსთვის კომპეტენციაზე ორიენტირებული მიდგომების შესამუშავებლად, პერსონალის გაცვლით, კოლეგების მიერ ურთიერთ სწავლებითა და კონსულტაციებით, რაც ქსელების, კოლაბორაციისა და პროფესიონალების/პრაქტიკოსების თანამეგობრობების (communities of practice) მეშვეობით უზრუნველყოფს სწავლების მოქნილობასა და ავტონომიურობას.

(გ) სწავლებასა და სწავლაში კომპეტენციაზე ორიენტირებული მიდგომების გამოყენების მიზნით, შესაძლებელია საგანმანათლებლო პერსონალის დახმარება ინოვაციური პრაქტიკის შემუშავების, კვლევაში მონაწილეობისა და ახალი ტექნოლოგიების, მათ შორის ციფრული ტექნოლოგიების, შესაბამისი გამოყენებისათვის.

(დ) საგანამანათლებლო პერსონალმა შეიძლება მიიღოს სახელმძღვანელო მითითებები/რეკომენდაციები; საექსპერტო ცენტრებზე წვდომას, სათანადო ინსტრუმენტებსა და მასალებს შეუძლია აამაღლოს სწავლებისა და სწავლის მეთოდებისა და პრაქტიკის ხარისხი.

გ. კომპეტენციის განვითარების შეფასება და ვალიდაცია

(ა) საკვანძო კომპეტენციების აღწერები შეიძლება ჩამოყალიბდეს სწავლის შედეგების ჩარჩოების სახით, რომელთაც თან დაერთვება დიაგნოსტიკის, ფორმატიული და შემაჯამებელი შეფასებისა და ვალიდაციის სათანადო ინსტრუმენტები შესაბამისი დონეებისათვის.²⁶

(ბ) კერძოდ კი, ციფრულმა ტექნოლოგიებმა შეიძლება ხელი შეუწყოს მოსწავლის პროგრესის მრავალფეროვანი განზომილებების/ასპექტების დანახვას, სამეწარმეო სწავლის ჩათვლით.

(გ) შესაძლებელია განსხვავებული მიდგომების შემუშავება არაფორმალური განათლებისა და თვითგანათლების გარემოსთვის საკვანძო კომპეტენციების შესაფასებლად, მათ შორის დამსაქმებლების, კონსულტანტებისა და სოციალურ პარტნიორებთან დაკავშირებული აქტივობებისთვის. ის ყველასთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს, განსაკუთრებით დაბალი კვალიფიკაციის მქონე პირებისთვის, რათა ხელი შეეწყოს მათი სწავლის შემდგომ გაგრძელებას.

(დ) არაფორმალური განათლებისა და თვითგანათლების გზით შეძენილი სწავლის შედეგების ვალიდაცია შეიძლება გაფართოვდეს და განმტკიცდეს “წინმსწრები არაფორმალური განათლებისა და თვითგანათლების ვალიდაციის შესახებ” ევროპის საბჭოს რეკომენდაციის შესაბამისად, მათ შორის ვალიდაციის განსხვავებული პროცესების გათვალისწინებით. ამასთან, დოკუმენტირებისა და თვითშეფასების ისეთი ინსტრუმენტების გამოყენებამ, როგორებიცაა “Europass”-ი და “Youthpass”-ი შეიძლება ხელი შეუწყოს ვალიდაციის პროცესს.

²⁶ მაგალითად, ენის საერთო ევროპული ჩარჩო, ციფრული კომპეტენციის ჩარჩო, სამეწარმეო კომპეტენციის ჩარჩო, ისევე როგორც PISA-ს კომპეტენციების აღწერა, რომელიც იძლევა დამხმარე მასალას კომპეტენციების შესაფასებლად.